



ტურიზმის ორგანიზაციის რისკები და პრობლემები

რეზიუმე

ნინო ჯეთანია

სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: nanimam@mail.ru

ეკონომიკურ კვლევებში და ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობაში რისკის პრობლემატიკას უკავია ცენტრალური ადგილი. თანამედროვე პირობებში, ფინანსური რისკების მართვა ხდება ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი. ტურისტული რისკების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ტურისტული ბაზრის მზარდი როლით მსოფლიო ეკონომიკაში.

რისკების წარმოქმნის ძირითად მიზეზებს შორისაა: ინფლაცია; საპროცენტო განაკვეთების არასახარბიელო ცვლილებები; ჩადებული თანხების დაბრუნების ვადის მოულოდნელი შემცირება; საკრედიტო რესურსების უკმარისობა; მომგებიანობის შემცირება; ორგანიზაციის ვალდებულებათა სტრუქტურაში სასესხო კაპიტალის მაღალი წილი; მაღალლიკვიდური აქტივების რეზერვების ნაკლებობა.

აუცილებელია ტურისტული რისკების სისტემატიზაციისთვის თანამიმდევრული მიდგომა, რათა რაციონალურად გადაწყდეს მათი მინიმუმამდე შემცირების ან თუნდაც აღმოფხვრისთვის საჭირო ამოცანები.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობის პირობებში, რისკის შეფასების პრობლემა იძენს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ტურისტული მომსახურების სფეროში, როგორც მართვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის უსაფრთხოება, ტურისტული რისკები, სასიცოცხლო ციკლი, კლასიფიკაცია, ტურისტული პროდუქტი.

ტერმინი „რისკის“ წარმომავლობაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მეცნიერებს შორის და მაინც: *რისკი* – ეს არის ფინანსური შედეგების გაურკვეველობა მომავალში. ან: *რისკი* – შესაძლო დანაკარგების რიცხობრივად გამოსახვა.

კლასიკურ თეორიაში ეკონომიკური რისკი განისაზღვრება, როგორც არჩეული გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგად მიღებული დანაკარგის მათემატიკური მოლოდინი. შეიძლება ითქვას, კლასიკური თეორიის ძირითად დებულებას წარმოადგენს განსაზღვრება – *რისკი, როგორც ზარალის ალბათობა და დანაკარგი არჩეული სამოქმედო სტრატეგიიდან*. რისკის ასეთი ცალმხრივი განმარტება გახდა ეკონომისტების კამათის საგანი.

ეკონომიკურ კვლევებში და ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობაში რისკის პრობლემატიკას უკავია ცენტრალური ადგილი. თანამედროვე პირობებში, ფინანსური რისკების მართვა ხდება ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი. ტურისტული რისკების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ტურისტული ბაზრის მზარდი როლით მსოფლიო ეკონომიკაში.

რისკების წარმოქმნის ძირითად მიზეზებს შორისაა: ინფლაცია; საპროცენტო განაკვეთების არასახარბიელო ცვლილებები; ჩადებული თანხების დაბრუნების ვადის მოულოდნელი შემცირება; საკრედიტო რესურსების უკმარისობა; მომგებიანობის შემცირება; ორგანიზაციის ვალდებულებათა სტრუქტურაში სასესხო კაპიტალის მაღალი წილი; მაღალლიკვიდური აქტივების რეზერვების ნაკლებობა.

ამ პირობებში ბიზნეს-სუბიექტების ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს რისკების მინიმუმამდე შემცირებას, ასევე, მათგან გამოწვეულ დანაკარგებს, ე. ი. უნდა დაინერგოს

ფინანსური რისკების მართვის სისტემა (რისკ-მენეჯმენტი).



რისკების მართვისას, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს - კონკრეტული

სფეროსთვის დამახასიათებელი ნეგატიური მხარეების განსაზღვრა. ტურისტული ინდუსტრია – ეს არის საწარმოების, დაწესებულებების, მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროთა ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტული პროდუქტის წარმოებას, განაწილებასა და გაცვლას, ტურისტული რესურსების ათვისებას და გამოყენებას, ასევე, ტურიზმისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ტურიზმის სფეროში, მოქმედი სუბიექტებისათვის, ფინანსური რისკების მართვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნება და შემდგომისათვის მისი მდგრადობის უზრუნველყოფა.

ტურისტულ ორგანიზაციებში რისკის წარმომქმნელ წყაროებს მიეკუთვნება ისეთები, როგორიცაა: *საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, მეწარმის საქმიანობა, არასაკმარისი ინფორმაცია გარემო პირობებზე.*

ტურისტული ბიზნესის რისკებზე საუბრისას არ განიხილება ის რისკები, რომლებიც თან ახლავს ტურისტის მოგზაურობას – ავადმყოფობა, უბედური შემთხვევები, ავტოკატასტროფები და სხვა სახის დაზიანებები. ამ და მსგავს შემთხვევებში, ზარალს აანაზღაურებს სადაზღვევო პოლისი. ტურისტული ბიზნესის რისკები გულისხმობს ფინანსური გარანტიებს, რომელიც უნდა გააჩნდეს ყველა ტურისტულ ორგანიზაციას. ეს არის მყარი საფუძველი, რომელიც გაუთვალისწინებელ შემთხვევაში სჭირდებათ ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებს. მაგალითად, ესპანეთში ლიცენზირებულ კომპანიას გააჩნია დაზღვევის პასუხისმგებლობა, გარდა ამისა, სახელმწიფოსაგან ვალდებულების სახით იღებს 180 ათას ევროს. ამ თანხით სარგებლობა შესაძლებელია, მაგრამ 15 დღის შემდეგ უნდა შეიფოსოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია კარგავს ლიცენზიას და ხელახლა უწევს მისი მოპოვება. იტალიელი ტუროპერატორები 60 ათასიდან 300 ათას ევრომდე ვალდებულებას იღებენ. საქმიანობის შეწყვეტისას მათ ეს თანხა უბრუნდებათ. თითქმის მსგავსი სქემა მოქმედებს ევროპის ბევრ ქვეყანაში.

ტურისტულ ბიზნესში, რისკების დეტალური ანალიზი საჭიროებს მათ კლასიფიკაციას. ამ დროს თავს იჩენს ის სიძნელე, რომ პრობლემა არ არის გამოკვეთილი. აქედან გამომდინარე,

კლასიფიცირება ხდება ორი მიმართულებით: *რისკები, რომლებიც თან ახლავს ტურისტებს, როგორც ტურისტული მომსახურების მომხმარებლებს; რისკები, რომლებიც თან ახლავს ტურისტული კომპანიების საქმიანობას, გართობის და კვების საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ მოცემულ ტურისტულ მომსახურებებს.*

ტურისტული ბიზნესის თანმხლები რისკების კლასიფიკაციის აუცილებლობა გამოწვეულია გადაწყვეტილების მიმღები პირების სურვილით, რომ კარგად იყოს სტრუქტურირებული შესაძლო პრობლემები, მოხდეს არასასურველი შედეგების თავიდან აცილება. ტურისტული ბიზნესის შესაძლო რისკების კლასიფიკაცია არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი იმ ფაქტორების მრავალფეროვნების გამო, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა დონის რისკების შემცველ სიტუაციებს.

აუცილებელია ტურისტული რისკების სისტემატიზაციისთვის თანამიმდევრული მიდგომა, რათა რაციონალურად გადაწყდეს მათი მინიმუმამდე შემცირების ან თუნდაც აღმოფხვრისთვის საჭირო ამოცანები. მიზანშეწონილია რისკების კლასიფიკაციისთვის გამოვიყენოთ შემდეგი პრინციპები: რისკების შესაბამისობა კონკრეტული სიტუაციებისთვის; სისტემური მიდგომის გამოყენება, რათა აისახოს პრობლემებს შორის ურთიერთკავშირი, კერძოდ, ერთ ჯგუფში არ უნდა გაერთიანდეს სხვადასხვა დონის რისკები; კონკრეტული მახასიათებლების გამოყოფა: რისკის წყარო, რისკის მატარებელი ობიექტი, რისკის მიმღები სუბიექტი.

სუბიექტურ რისკს აქვს ისეთი შედეგები, რომელთა ობიექტური შეფასება ვერ ხერხდება, ხოლო ობიექტური რისკი ხასიათდება გაზომვადი შედეგებით. ფინანსური რისკი ვარაუდობს პირდაპირ შედეგებს, რომლებიც გამოიხატება ფულად დანაკარგში. არაფინანსურ რისკს ახასიათებს უნაღლო დანაკარგები, მაგალითად – ჯანმრთელობა. ფუნდამენტურ ან არასისტემატიურ, არადივერსიფიცირებულ რისკს აქვს ტოტალური შედეგები. კერძო რისკი ან სისტემატიური, დივერსიფიცირებული, როგორც წესი, არის ლოკალური. წმინდა რისკის შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს დაზიანებები ან შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა. სპეკულაციური რისკის შედეგი არის კონკრეტული სარგებელი. დინამიურ რისკს აქვს ალბათური ბუნება, მისი შედეგები იცვლება სიტუაციებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს გაკოტრების რისკი ან ეკონომიკური კრიზისი. სტატიკური რისკი არ იცვლება დროში, მაგალითად, ხანძარი.¹

¹ Гладко Е.А. Управление финансовыми рисками в предприятиях туристической индустрии, электр. журнал „Управление экономическими системами“ Management of economic systems.



ტურისტული რისკების კლასიფიკაცია:

რისკების სახეები	
სუბიექტური	ობიექტური
ფინანსური	არაფინანსური
დინამიური	სტატიკური
ფუნდამენტური	კერძო
წმინდა	სპეკულაციური

ობიექტის დანართის მიხედვით ტურისტული რისკები კლასიფიცირდება ორ ჯგუფად: ტურისტებისა და ექსკურსანტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკი; რისკები ტურიზმის საქმიანობის სფეროში.

ტურისტებისა და ექსკურსანტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკი წარმოიქმნება ისეთ პირობებში, სადაც არსებობს რისკის წყარო; რისკფაქტორი ვლინდება ადამიანისთვის საშიშ დონეზე; ადამიანი ექცევა საფრთხის წყაროს ზემოქმედების ქვეშ.

ტურიზმის სფეროს საქმიანობაზე მოქმედი რისკები არის სამი სახის:

1. ფინანსური (საკრედიტო რისკი, ფასის რისკი, სავალუტო კურსის ცვლილების რისკი, საბაზრო რისკი, ინფლაციის რისკი, გადახდისუნარიანობის რისკი);

2. ფუნქციონალური (სტრატეგიული, ოპერაციული, ახალი ტურისტული მომსახურებისა და ტექნოლოგიების დანერგვის რისკი);

3. სხვადასხვა (შეუთავსებლობის რისკი და რეპუტაციის დაკარგვის რისკი).²

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობის პირობებში, რისკის შეფასების პრობლემა იძენს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ტურისტული მომსახურების სფეროში, როგორც მართვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

რისკების მართვა ტურისტულ ორგანიზაციებში: ტურისტული ბიზნესი – ეს არის მდგრადი სტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბდა კანონში შესული მრავალი კონვენციის წყალობით. ტურისტულ ბიზნესში ერთმანეთს კვეთს ფსიქოლოგიური, ისტორიული, იურიდიული და ბოლოს მატერიალური ფაქტორები. წარმატებ-

ის მიღწევა შესაძლებელია, როდესაც აქცენტები სწორად არის გაკეთებული.

ტურისტული ბიზნესის მომგებიანობა დაახლოებით 50%-ს შეადგენს. ეს ციფრი ნებისმიერი სექტორისთვის შესაშურია. რენტაბელობით ტურბიზნესი შეიძლება მხოლოდ ნავთობის ბიზნესს შევადაროთ. ამ ბიზნესში რისკები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მწარმოებელ სექტორში. ხოლო წარმატების შემთხვევაში დივიდენდების მიღება არ არის შეზღუდული დროში.

ტურისტულ ორგანიზაციებში ფინანსური რისკების შეფასების მეთოდები, თავის მხრივ, ასახავენ მოქმედი სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობას. ყველა მეთოდის კომპლექსური გამოყენება საშუალებას იძლევა თითოეული რისკის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდეს. ორგანიზაციის რისკის გარეშე ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მუდმივად ჩატარდეს მონიტორინგი და ქვეყნის საშინაო და საგარეო ბაზარზე შექმნილი სიტუაციების კონტროლი. ასევე, სუბიექტის საქმიანობაზე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისას, ყველა ორგანიზაციაში უნდა დაინერგოს რისკ-მენეჯმენტის სისტემა, რადგან ტურისტული რისკები გავლენას ახდენენ არამარტო ტურიზმის ინდუსტრიაზე, არამედ შერეულ სფეროებზე, ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, თავად ტურისტებზე. ეს ხელს უწყობს ნეგატიური შედეგები თავიდან იქნეს აცილებული. ტურისტულ ინდუსტრიაში რისკების ეფექტური მართვა დამოკიდებულია ფინანსური რისკების მართვის შექმნილ სისტემაზე. ფინანსური რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიურ სფეროს, რომელიც მიმართულია რისკების შეფასებისა და ანალიზის სისტემატიზაციისაკენ, მათ იდენტი-

² Плоткина Н.П. Классификационные признаки туристских рисков. Электр. Журнал: Проблемы устойчивого развития туризма 2015 №9(27).



ფიკაციისაკენ, ორიენტირებულია მათი მინიმუმამდე შემცირებისაკენ, ასევე შესაბამისი ზომების მიღებაზე და მიღებული შედეგების კონტროლზე.

შეიძლება გამოვყოთ რისკების სისტემური მართვის ისეთი სავალდებულო ასპექტები, როგორიცაა მთლიანობა, მასშტაბურობა, უწყვეტობა, ახალი ელემენტების ინტეგრაციის უნარი. ორგანიზაციაზე ნეგატიურად მოქმედი მრავალფერო-

ვანი ფაქტორების გათვალისწინება და არასასურველი სარისკო სიტუაციების თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ კვალიფიციურ რისკმენეჯერს, რომელიც მუდმივად ატარებს იმ სფეროს მონიტორინგს, სადაც ეწევა საქმიანობას მოქმედი სუბიექტი. ამიტომ აუცილებელია, შეირჩეს მმართველი პერსონალი რისკების ნეიტრალიზაციის ზომების გასატარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Белоголов А.Г. Формирование системы обеспечения экономической безопасности сферы туризма. Санкт-Петербург. 2010.
2. Плоткина Н. П. Классификационные признаки туристских рисков. Электр. Журнал: Проблемы устойчивого развития туризма 2015 №9(27)
3. Гладко Е.А. Управление финансовыми рисками в предприятиях туристической индустрии, электр. журнал „Управление экономическими системами” Management of economic systems.

4. Научная библиотека Кибер Ленинка: <http://cyberleninka.ru/article/n/teoreticheskie-podhody-k-suschnosti-i-klassifikatsii-turistskih-riskov>
5. Коммерческие риски в турбизнесе // Турбизнес, — Режим доступа. — URL: <http://www.insur-info.ru/press/63260>
6. Туроператоры извергли убытки // — Режим доступа. —URL: <http://m.gazeta.ru/business/2010/04/23/3356819.shtml>

РИСКИ И ПРОБЛЕМЫ ОРГАНИЗАЦИИ ТУРИЗМА

НИНО Лეტანძე

Докторант ГТУ

E-mail: nanimam@mail.ru

Резюме

В статье рассматриваются основные понятия безопасности туристского бизнеса, приводится авторская классификация важнейших факторов риска, возникающих при организации туристской деятельности.

Анализируются сущность, специфические черты и фазы жизненного цикла туристского риска. На основе различных признаков дается классификация туристских рисков. Выделяется совокупность продуктовых рисков, связанная с типологией туристских услуг, принятой в рамках вспомогательного счета туризма. Предлагается матричный подход к классификации туристских рисков, дополненный процессным подходом, связывающим виды риска с этапами организации туристского продукта.

Наличие рисков и количество ежегодно сходящих с арены туристических агентств доказывает то, что вопреки сложившемуся стереотипу, этот бизнес вовсе не является таким простым, как кажется на первый взгляд. И как любое дело он требует тщательного и продуманного подхода. Следовательно, планируемые вложения в туристический бизнес требуют оценки степени риска, определения его величины и принятия мер к снижению.